სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/213
13 დეკემბერი, 2024 წ.

უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის პირველ ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის", ,,ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის №07-01/69 გადაწყვეტილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მ/შ-ს 2024 წლის 12 დეკემბრის №1602994 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 12 დეკემბრის №1602234 სამსახურებრივი ბარათის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 11 დეკემბრის № 1601098 სამსახურებრივი ბარათის, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 11 დეკემბრის №1600151 სამსახურებრივი ბარათის, იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 11 დეკემბრის №1601155სამსახურებრივი ბარათის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 11 დეკემბრის №1597838 სამსახურებრივი ბარათის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 12 დეკემბრის №1601446 სამსახურებრივი ბარათის, რექტორის მოადგილის 2024 წლის 13 დეკემბრის № 1608841 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი **2025 წლის 18 იანვრიდან 2025 წლის 31 მარტის** ჩათვლით **(2025 წლის პირველ ეტაპზე)** უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის.
2. **განისაზღვროს კონკურსის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგი ვადები:**
ა)დოკუმენტაციის მიღება - **2025 წლის 13-14 იანვრის** ჩათვლით;
ბ) კონკურსის ჩატარების ორგანიზება - **2025 წლის 15-16 იანვარი;**
გ) გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა - **2025 წლის 17 იანვარი;**
დ) გამარჯვებული კონკურსანტის <u>**მიერ უცხოეთში 2025 წლის 18 იანვრიდან 10 დღის ვადაში გასამართ ღონისძიებაზე მივლინებისათვის**</u> **შესაბამისი სამსახურებრივი ბარათისა და განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2025 წლის 17 იანვრიდან".**

3. ბსუ-ს ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის მიზნებისათვის განისაზღვროს შესაბამისი ფაკულტეტის/ინსტიტუტის დაფინანსების მოცულობა (ასევე **მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერებისათვის** - პირები, რომელებმაც კონკურსის გამოცხადებამდე 7 წლის განმავლობაში მოიპოვეს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ასაკი არ აღემატება 35 წელს) **შემდეგნაირად:**

3.1. ბსუ-ს ფაკულტეტებისათვის:

ა) **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 5 500 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1 500 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ბ) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 7 500 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1 500 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

გ) **ტექნოლოგიური ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 4000 ლარი;

დ) **ტურიზმის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ე) **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი** - 14 400 ლარი.

ვ) **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 2000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ზ) **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 2000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

3.2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის:

ა) **ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2 000 ლარი.

ბ) **ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2 000 ლარი;

გ) **ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2000 ლარი.

4. კონკურსში მონაწილეობის მიზნით **ბსუ-ს აკადემიური/ სამეცნიერო თანამდებობის პირმა** (შემდეგში - კონკურსანტმა) ელექტრონულად (საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით **უნდა წარმოადგინოს დაფინანსების განაცხადი** (შევსებული წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად) **და შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) ინფორმაცია ღონისძიების შესახებ (თემატიკა ან/და სავარაუდო სამუშაო გეგმა; ჩატარების ადგილი, თარიღი და ფორმატი; ორგანიზატორი დაწესებულება ან/და სხვ.);

ბ) ოფიციალური მოწვევის (მასპინძელი ორგანიზაციის/დაწესებულების თანხმობა) ორიგინალი და ქართულ ენაზე ნათარგმნი;

გ) მოხსენების მოკლე ტექსტი ქართულ ან/და მოხსენების ტექსტი/პრეზენტაცია კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე; მოხსენების შესაბამისი, გამოქვეყნებული ან/და გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომი/სტატია;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის/ინსტიტუტის განყოფილების სხდომის გადაწყვეტილება (ოქმის ამონაწერი), ღონისძიებაში დასაქმებულის მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ;

ე) სხვა დოკუმენტაცია, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი სამეცნიერო ღონისძიება და საჭიროა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

5. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტის **(№2 დანართი)**, კონკურსანტის განაცხადის ფორმისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა (ელ. ფოსტის მეშვეობით - **web@bsu.edu.ge**).
6. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა წინამდებარე ბრძანების **№3 დანართის** შესაბამისად და ეთხოვოს საქმიანობის წარმართვა წინამდებარე ბრძანების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).
8. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „იურიდიული ცნობარი“ („რექტორის აქტები“) და ველში „კონკურსები“ - კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებასთან ერთად (თანდართული სამართლებრივი აქტებით).
9. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის პირველ ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 13 დეკემბრის №01-02/213 *ბრძანების*

დანართი №1

N	ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაფინანსების განაცხადი	
1.	**დასაქმებული/დაფინანსების** განაცხადის **ავტორი** (სახელი, გვარი, თანამდებობა)	
2.	**დასაქმებულის საკონტაქტო ინფორმაცია:** (ტელეფონი, ელფოსტა)	
3.	**ღონისძიების** გამართვის **ადგილი** (ქვეყანა, ქალაქი და დაწესებულება);	
4.	**ღონისძიების დასახელება** და განსახორციელებელი/შესასრულებელი **აქტივობა**	
5.	**აქტივობის განხორციელების პერიოდი:** 1. აქტივობის განხორციელების თარიღი/დღეები; 2. <u>გამგზავრების თარიღი;</u>	
6.	**ღონისძიების ჩატარების ფორმატი** (დასწრებით ან ონლაინ/დისტანციურად)	
7.	**ინფორმაცია ბსუ-დან მოთხოვნილი დაფინანსების თანხის და საერთო დაფინანსების შესახებ** (სრული, ნაწილობრივი, სხვა. დეტალურად აღნიშნეთ დაფინანსების წყარო (მგზავრობის, დღიური და სხვა)	
8.	**გამოსაყენებელი ტრანსპორტის სახეობა,** საჭიროების შემთხვევაში (მიმართულება, ტრანსპორტით გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღი)	
9.	**ინფორმაცია ღონისძიების დოკუმენტაციის შესახებ** (მოწვევის წერილი, ღონისძიების გეგმა/პროგრამა, მემორანდუმი/ხელშეკრულება, ელექტრონული წერილი),	

10	**ინფორმაცია დასაქმებულის ღონისძიებაში მონაწილეობის პერიოდში უნივერსიტეტში შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გადავადების შესახებ** (საჭიროების შემთხვევაში მიეთითოს განრიგიც)	
11	**მიმდინარე კალენდარულ წელს დასაქმებულზე ბსუ-ს ბიუჯეტიდან გაცემული დაფინანსების საერთო მოცულობა,** მათ შორის **ქვეყნის გარეთ** (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში (მივლინების) მონაწილეობისთვის **მიღებული დაფინანსების ოდენობა.**	-
12	**განსახორციელებელი ღონისძიების სამეცნიერო ღირებულება/ორგანიზატორი დაწესებულების რეიტინგი** (ვებ. გვერდის მისამართის და მოკლე აღწერილობა/ ანოტაცია)	
13	**ბოლო 5 წლის განმავლობაში კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა** (Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) **ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში ან/და ქართველოლოგიური მიმართულებით - გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიები და მათ ციტირება).**	
14	**სხვა ინფორმაცია,** დასაქმებულის შეხედულებით	
	დაფინანსების განაცხადი შეთანხმებულია	
	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ვისთანაც შეთანხმებულია სააუდიტორიო მეცადინეობის აღდგენის განრიგი (დარგობრივი დეპარტამენტის თანხმობა, სადაც ხორციელდება დასაქმებულის მიერ განსახორციელებელი სასწავლო კურსი)	
	დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი/ სტრუქტურული ერთეულის უფროსი	

დასაქმებულის ხელმოწერა

განაცხადის წარმოდგენის თარიღი:_____

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის პირველ ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 13 დეკემბრის №01-02/213 ბრძანების

დანართი №2

კონკურსი უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მისაღებად 2025 წლის პირველ ეტაპისათვის)

1. გამოცხადდეს კონკურსი **2024 წლის 18 იანვრიდან 2024 წლის 31 მარტის** ჩათვლით **(2025 წლის პირველ ეტაპზე)** უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის.
   ა)დოკუმენტაციის მიღება - **2025 წლის 13-14 იანვრის** ჩათვლით;
   ბ) კონკურსის ჩატარების ორგანიზება - **2025 წლის 15-16 იანვარი;**
   გ) გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა - **2025 წლის 17 იანვარი;**
   დ) **გამარჯვებული კონკურსანტის** <u>მიერ უცხოეთში 2025 წლის 18 იანვრიდან 10 დღის ვადაში გასამართ ღონისძიებაზე მივლინებისათვის</u> **შესაბამისი სამსახურებრივი ბარათისა და განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2025 წლის 17 იანვრიდან“.**
2. ბსუ-ს ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში, წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის მიზნებისათვის **განისაზღვრა თითოეული ფაკულტეტის/ინსტიტუტის დაფინანსების მოცულობა** (ასევე <u>ახალგაზრდა მეცნიერებისათვის</u> - პირები, რომელებმაც კონკურსის გამოცხადებამდე 7 წლის განმავლობაში მოიპოვეს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ასაკი არ აღემატება 35 წელს) **შემდეგნაირად:**

ბსუ-ს ფაკულტეტებისათვის:

ა) **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 5 500 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1 500 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ბ) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 7 500 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1 500 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

გ) **ტექნოლოგიური ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 4000 ლარი;

დ) **ტურიზმის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ე) **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი** - 14 400 ლარი.

ვ) **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 2000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ზ) **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალისათვის - 6000 ლარი (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 2000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული);

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის:

ა) **ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2 000 ლარი.

ბ) **ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2 000 ლარი;

გ) **ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალისთვის- 2000 ლარი.

3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირმა (შემდეგში - კონკურსანტმა) ელექტრონულად (საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით **უნდა წარმოადგინოს დაფინანსების განაცხადი** (შევსებული წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად) **და შემდეგი დოკუმენტაცია:**

   ა) ინფორმაცია ღონისძიების შესახებ (თემატიკა ან/და სავარაუდო სამუშაო გეგმა; ჩატარების ადგილი, თარიღი და ფორმატი; ორგანიზატორი დაწესებულება ან/და სხვ.);

   ბ) ოფიციალური მოწვევის (მასპინძელი ორგანიზაციის/დაწესებულების თანხმობა) ორიგინალი და ქართულ ენაზე ნათარგმნი;

   გ) მოხსენების მოკლე ტექსტი ქართულ ან/და მოხსენების ტექსტი/პრეზენტაცია კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე; მოხსენების შესაბამისი, გამოქვეყნებული ან/და გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომი/სტატია;

   დ) შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის/ინსტიტუტის განყოფილების სხდომის გადაწყვეტილება (ოქმის ამონაწერი), ღონისძიებაში დასაქმებულის მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ;

   ე) სხვა დოკუმენტაცია, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი სამეცნიერო ღონისძიება და საჭიროა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

4. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:

   ა) განსახორციელებელი ღონისძიებისა და ორგანიზატორი დაწესებულების რეიტინგი;

ბ) კონკურსანტის მოხსენების შესაბამისობა ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებულ ძირითადი სამეცნიერო-კვლევით მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმასთან/ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევის მუშაობის გეგმასთან და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა (Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში ან/და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიები და მათ ციტირება);

გ) ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში (მივლინების) მონაწილეობის დაფინანსებისათვის დასაქმებულისათვის 1 კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს.

5. საკონკურსო კომისიამ განიხილავს საკონკურსო დოკუმენტებს, კონკურსანტებთან გასაუბრების გზით დაადგენს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებებს და კონკურსანტთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით უნდა მიიღოს შესაბამისი კონკურსანტის დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება (ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ან/და კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმის შესაბამისად განსაზღვრული სარეიტინგო ქულების დაანგარიშებით).
6. ბსუ-ს დაფინანსებით განხორციელებული აქტივობის შემდეგ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლების ანგარიშები უნდა განიხილოს შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ და სამეცნიერო საბჭომ და მიღებული შედეგის შესახებ ფაკულტეტის დეკანმა/ინსტიტუტის დირექტორმა სამსახურებრივი ბარათი უნდა წარუდგინოს რექტორს (ბარათი დამუშავებისათვის ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს).
7. თუკი გამოვლინდება დაფინანსებული პირის მიერ შესაბამისი აქტივობის განუხორციელებლობა/ღონისძიებაში მონაწილეობის მიუღებლობა/გაცემული დაფინანსების თანხის არამიზნობრივად გამოყენება, დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში დააბრუნოს მიღებული თანხა ბსუ-ს ანგარიშზე.

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის პირველ ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 13 დეკემბრის №01-02/213 *ბრძანების*

დანართი N3

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების *შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის - დეკემბრის ბრძანებით შექმნილი* ***საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:***

1. ანზორ ბერიძე (რექტორის მოადგილე) - **კომისიის თავმჯდომარე;**
2. თამარ სირაძე (რექტორის მოადგილე) - კომისიის წევრი;
3. ვლადიმერ ღლონტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) - კომისიის წევრი;
4. თამარ მაჭუტაძე (სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი) - **კომისიის მდივანი;**
5. ლევან ჯაყელი (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
6. რუსუდან ხუხუნაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
7. გაიოზ ფარცხალაძე (ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
8. ირაკლი კორძაია (ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
9. ლელა თურმანიძე- (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი)-კომისიის წევრი;
10. ნათელა წიკლაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
11. თეონა ბერიძე - (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი) - კომისიის წევრი;
12. თეონა დეკანაძე/გიორგი დიასამიძე (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი)-კომისიის წევრი.